საქართ. შემარც. სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მეხუთე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20,000 მან.
4 „ 10,000 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 500,000 მან.
4 „ 800,000 „

№ 401 ხუთშაბათი, იანვრის 25 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო სალიტერატურო გაზეთი

„ტრიბუნა“

1923 წლის იანვრის პირველიდან ეღირება ხელის მომწერთათვის დაგზავნით და სახლში მიტანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველიდან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში, მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში. ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის კანტორაში: ტფილისი, სასახლის ქ. № 6. ტელეფონი—10—34 ფოსტის ყუთი № 190.

დღეს, ხუთშაბათს, 25 იანვარს, დღის 3 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება შეერთებული საერთო საქალაქო სხდომა საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციების, საქ. კომუნისტრი ახალგაზდობის კავშირისა და სამხედრო კომუნისტებისა.

პრებაზე მოხსენებით გამოვა ამხ. ზინოვიევი.

1—1 საქკომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი.

თანახმად ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის კომუნალურ განყოფილების კოლეგიის დადგენილებისა

ა. წ. 20 იანვრის ქალაქის აბანოებში დამტკიცებულია

შემდეგი ნიხრი:

აბანო № 3 (ყოფ. სუმბათოვისა)
ნომრები: 1, 2, 3—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 4 (ყოფ. არღუთინოვისა)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 5 (ყოფ. ცოვიანოვის)
„ 1, 2, 3, 4—150 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 6 („ფანტაზია)
„ 1, 2, 3, 4—150 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 7 (ყოფ. ირაკლის და შალამოვის)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
აბანო № 8 (ყოფ. ორბელიანის)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6—200 ათასი მან. საერთო 40 ათასი მან.
„ 7, 8, 9, 11—150 ათასი მან.
აბანო № 9 (ყოფ. მირზოევის)
„ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9—200 ათასი მან. საერთო კაცების 40 მან.
„ 10—150 ათასი მან. საერთო ქალების 40 ათასი მან.
აბანო № 13.
საერთო კაცების 50 ათასი მან.
აბანო № 14.
„ 1, 2, 3, 4, 5—200 ათასი მან. საერთო ქალების 50 ათასი მან.

2—2 278 კომუნალურ განყოფილების გამგე დ. ბაქრაძე.

პირველ ხარისხოვანი საქმე

არის ისეთი საკითხები, რომლის მნიშვნელობა და საჭიროება ყველასათვის იმდენად ცხადია, რომ მაზედ ლაპარაკი სრულიად ზედმეტი და უხერხულია. ერთი ასეთ საკითხთაგანია სახალხო განათლების საქმე. აბა რა უნდა სთქვას და დასწეროს კაცმა ამ საკითხის შესახებ? ვისთვისაა საჭირო იმის მტკიცება, რომ სწავლა-განათლება აუცილებელია? მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა მრავალ ობიექტიურ პირობათა გამო სწავლა-განათლების საქმე საქართველოში ვერ იყო მოგვარებული. ამას ყველა გრძნობდა, ყველას აწუხებდა, მაგრამ გამოსავალი არსაით იყო. უპირველესად საჭირო იყო დანგრეული სამეურნეო ცხოვრების აღდგენა, სათანადო აპარატის მოწყობა, თორემ უამისოთ, რა თქმა უნდა განათლებაზედ ფიქრი ხორცს ვერ შეისხამდა. მაგრამ სიმართლე რომ ვსთქვათ, ძლიერ გადავაჭარბეთ ამ მხრით და განათლების საქმე ერთობ ჩამორჩა.

შესაძლებელი იყო უფრო ადრე მეტი ყურადღება მიგვექცია ამ საქმისათვის,—საამისო პირობები იყო საბჭოთა საქართველოში. მაგრამ მიუხედავად ასეთი დაგვიანებისა, რამაც საშინელ პირობებში ჩააყენა განათლების მუშაკნი, ეს უკანასკნელნი მაინც ნაკისრ საქმეს განაგრძობენ და ფრონტი არ გაატიტვლეს, სკოლები არ მიატოვეს. ამის არ ალვნიშვნა და უყურადღებოდ დატოვება დიდი უმადურობა იქნებოდა ჩვენი მასწავლებლობისადმი.

განათლების მუშაკებმა საშინელი გასაჭირი აიტანეს და საქმეს არ უღალატეს. ეს გამოცდა მათ ჩინებულად დაიჭირეს. მოსალოდნელი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამას ღირსეულად დააფასებდა და ასეთაც მოხდა. საქ. ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის საგანგებო სხდომაზედ სხვათა შორის დაადგინა:

„ალიარებულ იქნას მუშაობა განათლების დარგში **პირველ ხარისხოვან საქმედ, რომელიც მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას მთავრობის მხრივ**“. შემდეგ რეზოლიუციის მე-11 მუხლი ამბობს:

„გადაუდებელ ამოცანად იქნას ალიარებული განათლების მუშაკთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, აყვანილ იქნას მათი ხელფასი იმ პირთა საშუალო ხელფასიბ დონეზე, რომელნიც ეწევიან ინდუსტრიალურ შრომას, თავის დროზედ მიეცეს მათ კუთვნილი ჯამაგირები მიეცეს განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობას და აგრეთვე განათლების მუშაკებთ მიენიჭოთ დამზღვევ კასის ფაქტიურ სარგებლობის უფლება.“

ასეთია საქართველოს უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილება. დარწმუნებული ვართ ეს რეზოლიუცია არ დარჩება გაუნაღდებელი. ყოველივე ეს იმდენად მომწიფებული და მომზადებულია ცხოვრებაში, რომ ამის არ ასრულებას ვერც კი მოახერხებს კაცი. ყოველ შემთხვევაში განათლეის მუშაკთა კავშირმა ეხლავე უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რომ ცაკის დადგენილება შეურყევლად და წმინდათ იქნას ცხოვრებაში გატარებული. ამას მოითხოვს არა მარტო კავშირის ინტერესები, ეს მთელი რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესია.

საქართველოს ცენტრალური აღმასკომის 3-მე სესია

მეორე სხდომა

იანვრის 20-ს სხდომაზე სახალხო განათლების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ დ. კანდელაკი. მოხსენების შესახებ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს დევდარიანმა, ყურულაშვილმა, ელენტმა და ფ. მახარაძემ. მომხსენებლის საპასუხო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქმნა 7 კაცისაგან შემდგარი კომისია რეზოლიუციის შესამუშავებლად.

მესამე სხდომა გაიხსნა იანვრის 22-ს, მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია სახ. განათლების კომისარის მოხსენების შესახებ.

მოისმინა რა ამხ. კანდელაკის მოხსენება სახ. განათ. კომისარიატის 1921—22 წ. მოღვაწეობის შესახებ, სრულიად საქ. ცენტ. აღმასკომის 3-ე სესია ფიქრობს, რომ არა ნორმალურ პირობებში, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა, სახ. განათ. კომისარიატს, უკანასკნელმა არა მარტო მოახერხა არსებული სკოლების შენარჩუნება, არამედ გააფართოვა სკოლების ქსელი და მოსწავლეთა რაოდენობა. სესია სახ. განათ. კომისარიატის მუშაობას საერთოდ დამაკმაყოფილებლად სცნობს ზემოდ-აღნიშნულ არანორმალურ პირობებში და საჭიროდ სთვლის მიღებულ იქმნას შემდეგი ზომები.

1. ალიარებულ იქმნას მუშაობა განათლების დარგში პირველ ხარისხოვან საქმედ, რომელიც მოითხოვს მაქსიმალურ ყურადღებას და დახმარებას მთავრობის მხრივ, ვინაიდან სიკწორით დაყენებულ და საკმაოდ უზრუნველყოფილ სასწავლებელთა გარეშე შეუძლებელია ახალგაზრდობა, რომელიც სასწავლებლებს ათავებს, სათანადოთ იქნეს მომზადილი პოლიტიკურად და პრაქტიკულად ახალი ცხოვრების აღმშენებლობისათვის.

2. საჭიროა პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველოს მუშაობის საერთო პროგრამიდან გამოიყოს განსაკუთრებულ პირობებში მუშათა და მუშაშეგირდების პროფესიონალური განათლების საქმე და სპეციალურად გადაიდოს ამისათვის სათანადო საშუალებანი.

3. ალიარებს რა განსაკუთრებულ მნიშვნელობის საქმედ სასოფლო სამეურნეო განათლების განვითარებას, ც. ა. კ-ი წინადადებას აძლევს სახ. განათ. კომისარიატს მიწ.-მოქმედების სახ. კომისარიატთან ერთად აწარმოვოს მუშაობა სას.-სამეურნეო სასწავლებელთა ქსელის გასაფართოვებლად.

4. გაღრმავებულ იქმნას კომისარიატის მუშაობა უმაღ. სასწავლებელთა რეფორმის დარგში, გადაიქცეს უმაღლესი სასწავლებლები მუშათა კლასიდან გამოსულ უმაღლეს კვალიფიკაციის სპეციალისტების მოსამზადებელ ადგილად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა ფაკულტეტების მატერიალურად გაუმჯობესების საქმეს.

5. გაძლიერებულ იქნას მოზარდ თაობის სოციალური აღზრდის მუშაობა: ა) ისეთ პედაგოგების ახალი კადრის მომზადებით, რომელნიც იზიარებენ ახალი შრომის შკოლის პროგრამას და ბ) ბავშთა შრომის კოლონიების დაარსებით, როგორც დროებით (ზაფხულობით), ისე მუდმივად, სასკოლო მეცადინეობის დროს რაციონალური დაყენებით და აგრეთვე ბავშვთა შკოლის საკლუბო ცხოვრებაში ჩაბმით წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიით გაჟღენთილ ოჯახის ზეგავლენის შესასუსტებლად.

6. შეყვანილ იქნეს სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველოს საორგანიზაციო გეგმაში „სპარტაკის“ ბავშთა ჯგუფები და უზრუნველყოფილ იქნენ უკანასკნელნი საინსტრუქტორო შემადგენლობით სახალხო განათლების კომისარიატის ხარჯზე.

7. საჭიროა გადიდებულ იქნეს სპეციალური საშუალებანი ეროვნულ უმცირესობათა შორის განათლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განათლების საქმის დაყენებას მუსლიმანობას შორის.

8. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შკოლების ქსელის გაფართოებას, აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც მთელ რიგ ისტორიულ პირობების წყალობით ჩამორჩენილია სახალხო განათლების დარგში.

9. გაძლიერებულ იქნას სახ. განათლების კომისარიატის მუშაობა გამომცემლობის დარგში, რომელიც არის უძლიერესი იარაღი ბურჟუაზიულ იდეოლოგის წინაამდეგ ბრძოლაში და აგრეთვე გაძლიერებულ იქნას პედაგოგიურ და სახელმძღვანელო ლიტერატურის გამომცემლობა შკოლების და მასწავლებელთა უზრუნველსაყოფად; ყველა საგნების სამშობლო ენაზე სწავლების მიზნით, რისთვისაც წინადადება მიეცეს სახალხო კომისართა საბჭოს სასწრაფოდ გასცეს სახ. განათლების კომისარიატის განკარხულებაში სპეციალური თანხები.

10 გადიდებულ იქნეს კომისარიატის მატერიალური ფონდები: ა) სწავლების სახელმძღვანელო—სანიმუშო საქმის გასაძლიერებულად, შკოლების სანიტარულ ტეხნიკურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და აგრეთვე სასკოლო შენობების აღსადგენათ, ბ) ბავშთა უპატრონობის, როგორც მორალურ, ისე ფიზიკურ დეფექტიურობის წინაამდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, გ) კათედრების წესიერი მომარაგების უზრუნველსაყოფად.

უმაღლეს სასწავლებელთა ლაბორატორიების და პრაქტიკუმების მიმდინარე მუშაობის მოსაწყობათ.

11. გადაუდებულ ამოცანად იქნას ალიარებული განათლების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, აყვანილ იქნას მათი ხელფასი იმ პირთა საშუალო ხელფასის დონემდე, რომელნიც ეწევიან ინდუსტრიალურ შრომას, თავის დროზე მიეცეთ მათ კუთვნილი ჯამაგირები; მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მასწავლებელთა მდგომარეობას და აგრთვე განათლების მუშაკებს მიენიჭოთ დამზღვევ კასით ფაქტიური სარგებლობის უფლება.

12. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღოს სასწრაფო ზომები სახ. განათლების კომისარიატის მატერიალურ ბაზის განსამტკიცებლად, არავითარ შემთხვევაში არ დაადგეს ერთიან შრომის შკოლებში სასწავლო გადასახადის შემოღების გზას და არ დაუშვას კერძო შკოლების გახსნა. მონაწილეობა მიალებინოს ყველა მცხოვრებთ საგანმანათლებლო ხარჯებში, სასკოლო გადასახადის შეტანით და ადგილობრივ აღმასკომების მიერ ადგილობრივ ბუჯეტიდან სკოლების საჭიროებისათვის 20 პროცენტის გადარიცხვის ცხოვრებაში გატარებით. ადგილობრივი საშუალებანი და სასკოლო გადასახადი მთლიანად უნდა მოხმარდეს სასწავლებლების შეკეთებას, მომარაგებას და მიმდინარე ხარჯებს, იმ აუცილებელ პირობით, თუ პედაგოგიური პერსონალი სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე იქნება გადაყვანილი.

წარმოდგენილი რეზოლიუცია ერთხმად იქმნა მიღებული და ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა თავის მოხსენებისათვის მიწად-მოქმედების კომისარს ამხანაგ სტურუას.

საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის საგანგებო სესიამ, მოისმინა რა მიწად-მოქმედების სახალხო კომისრის მოხსენება და აღნიშნა რა, რომ მიწის რეფორმის სფეროში ერთი წლის მუშაობა, ტეხნიკურ პერსონალის სიმცირის გამო, არ იძლეოდა საშუალებას რეფორმის დასრულებისა და მშრომელი გლეხობის მიწით დაკმაყოფილებისათვის, დაადგინა: ალიარებულ იქნას გადაუდებელ ამოცანათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში მიწის რეფორმის დასრულება, ყოფილ მემამულეებისა და მესაკუთრეებისათვის მათი ეკონომიური ძლიერების—სახლების და მიწების ჩამორთმევის, მათი უმიწწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებისათვის გადაცემის და დიდ შენობათა საზოგადო საჭიროებისათვის გამოყენების გზით. ამ რეფორმის ფაქტიური გატარება დაევალოს ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტებს, რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობს და აწესრიგებს № 17 დეკრეტისძალით მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი. დაევალოს ცაკის პრეზიდიუმს გამოაქვეყნოს დებულება საადგილ-მამულო კომიტეტების მუშაობის შესახებ, მიწის რეფორმის გატარება დასრულდეს 15 მარტამდე.

მეორე სესიის ნოემბერის დადგენილების შესაცვლელად, მესამე სესია ადგენს განისაზღვროს მიწის ნორმა ცაკის 1922 წლის 26 მაისის დებულების მიხედვით და ამ დებულების მე-6-ე მუხლი შემუშავებული იქნეს ამ გვარად:

მხოლოდ იმ სოფლის მესაკუთრეს, რომელიც ბინადრობს ადგილობრივად და ეწევა მეურნეობას, მოხუცებს, შრომის უნარ დაკარგულებს, ქვრივებს და ობლებს, სოფლის მუშა წითელ-არმიელს და მუშათა და გლეხთა მილიციის მოსამსახურეს ეძლევა სრული ნორმა, სახელმწიფო და კერძო წარმოებათა ყველა მუშებს ეძლევათ ნახევარი ნორმა:

შენიშვნა: 3. ამ წესიდან გამონაკლისი—ნახევარ ნორმის დატოვება დასაშვებია შემდეგ კატეგორიებისათვის: სოფლის მასწავლებლებისათვის, სამაზრო თემის და სოფლის აღმასკომის მუშაკთათვის, რომელთაც კავშირი აქვთ სასოფლო მეურნეობასთან და სააგრონომო და საბეითლო პერსონალის პირთათვის, ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტების შეხედულებასთან შეთანხმების პირობით.

გაუქმებულ იქნეს დებულება საგანგებო საადგილ-მამულო კომისების შესახებ და მოხდეს კომისიების ლიკვიდაცია, როგორც ცენტრში ისე ადგილზე.

დაევალოს მიწად მოქმედების სახალხო კომისარს წარმოადგინოს ცაკის პრეზიდიუმში პროექტი კომისიების ლიკვიდაციის და მათი სათანადო ორგანოებით შეცვლის შესახებ.

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

ამის შემდეგ მოსმენილ იქმნა მოხსენება და სრული ანგარიში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მუშაობის შესახებ, საქართველოს ცენტ. აღმ. კ.-ის მესამე საგანგებო სესია სავსებით იწონებს კომიტეტის მუშაობას და გადადის მორიგ საკითხებზე.

ცვლილებანი საქართ. „ცაკ“-ის და სახ. კომისართა საბჭოს შემადგენლობაში.

კომფრაქციამ წამოაყენა ახალი შემადგენლობის სია.

სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. **ელიავა.**

იუსტიციის სახ. კომისრად ამხ. **ვარძიელი.**

„ცაკ“-ის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან:

თავმჯდომარედ ამხანაგი **მიხა ცხაკაია.**

მდივნად (ცეკას მდივნობის შენარჩუნებით) ამხ. **საბაშვილი.**

წევრებად: ამხ. სტურუა, ა. გეგეჭკორი, ორახელაშვილი, სუხიშვილი, ლაკობა, ჯატიევი, ხიმშიაშვილი, კახიანი და თუმანოვი.

კანდიდატებათ: ყურულოვი, გეიდენი, გაგლოევი, ალი-ტაგი-ზადე და ვალი ჯაფარიძე.

არჩევნების შემდეგ სესია დაიხურა დღის სამ საათზე და 10 წ.

ამხ. ბიქტორ სარია

გასული წლის დეკემბრის 31-ს, მემარცხენე სოც.-ფედერ. ზუგდიდის ორგანიზაციას გამოაკლდა საუკეთესო პარტიული მუშაკი ამხ. ბიქტორი სარია. იგი იმსხვერპლა ფილტვების ანთებამ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქალ. ზუგდიდში. ბიქტორის დაკარგვას ზუგდიდის საზოგადოება განურჩევლად მიმართულებისა, გულის ტკივილით შეხვდა, რომელიც მან გამოხატა ბიქტორის ზუგდიდან სამშობლო სოფელ წალენჯიხაში წასვენების დღეს. დიდძალი საზოგადოების თანხლებით, მომღერალთა გუნდის სარევოლიუციო ჰიმნის გალობით სამუდამოდ გამოეთხოვა ამხ. ბიქტორი ქალ. ზუგდიდს. გრძნობით აღსავსე სიტყვებით გაისტუმრეს უდროოდ დაკარგული ამხ. მემარცხენე სოც.-ფედ. სამაზრო კომიტეტის სახელით ამხ. კ. კობახიძემ, ახალგაზრდა მემარც. სოც.-ფედერ. სახელით ამხ. შ. დადიანმა, კომპარტიის სახელით აღმასკომის თავმჯდომარე გ. როგავამ და სარაიონო კოოპერატივთა კავშირის სახელით, სადაც უკანასკნელ ხანებში მოღვაწეობდა, პ. უგულავამ. აქვე იქნა გადაღებული სურათი კავშირის თანამშრომლებთან ერთად. ეს იყო მიმდინარე წლის იანვრის 1-ს, ხოლო ამავე წლის იანვრის 4-ს ზუგდიდის მაზრის სოფ. წალენჯიხაში მიწამ სამუდამოდ მიიბარა ეს ხასიათდული წევრთაგანი ზუგდიდის მემარცხენე სოც.-ფედ. ორგანიზაციისა.

ამხ. ბიქტორის პიროვნებაზე, რომელიც იყო სული და გული ზუგდიდის მემარცხ. სოც.-ფედ. ორგანიზაციისა, რომელიც შეადგენდა ამ ორგანიზაციის სიამაყეს, უფრო დაწვრილებით ჩვენ გვექნება ლაპარაკი შემდეგ. დღეს კი მოკლეთ უნდა აღინიშნოს, რომ მას ქონდა დამსახურებული ნამდვილი და უანგარო სახალხო მოღვაწის სახელი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

გამოსული ღარიბი მიწის მუშის ოჯახიდან, განწყობილი სოციალისტურად, ის ეძებს თანამოაზრეთა ორგანიზაციას. 1904—5 წლებში ჯერ კიდევ ჭაბუკი ბიქტორის წინაშე დგას საქართველოში მაშინ უძლიერესი სოციალისტური ორგანიზაცია—მენშევიკებისა. შედარებით მცირე განათლების პატრონი, მაგრამ ბუნებით ნიჭით დაჯილდოვებული ბიქტორი ადვილად ერკვევა და ითვალისწინებს რა მენშევიკების პროგრამის უარყოფითი მხარეებს განსაკუთრებით აგრარულ და ეროვნულ საკითხებში, ჯერ ურიგდება მას და უდგება გვერდში მენშევიკების მიერ ყბად-აღებულ სოც. ფედერალ. პარტიას, ხოლო ამ პარტიის ორ ფრთად გაყოფის ჟამს ის ამბობს: „მე თუ სოციალისტი ვარ, სოციალისტებს მტრად ვერ დაუხდებიო“. და დგება მემარცხენე სოც. ფედ. რიგებში.

ამით საკმაოდ ამტკიცებს ბიქტორი, რომ მას ყველგან და ყოველთვის ამოქმედებდა საზოგადოებრივი და არა პირადული ინტერესი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ბიქტორის დასაფლავების წესებში განხორციელდა ბიქტორის სიტყვები. აქ ამ დასაფლავებაზე პირისპირ შეეჯახნენ ურთიერთს ძველი და ახალი: სარწმუნოება და სოციალისტური მსოფლიო მხედველობა. გამარჯვებული დარჩა ახალი. ცხადია, ბიქტორის გონიერ სიტყვებს ზეგავლენა დაუშთენია მისი ოჯახის წევრებზე საერთოდ და კერძოდ მისი ღრმად მოხუცებულ დედაზედაც კი, რომელიც სავსებით დამშვიდებული შეხვდა სამღვდელოების საჭიროების უარყოფას. სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ ბიქტორი დაასაფლავეს საკუთარ ეზოს გვერდით გორაკზე, რომელიც გადაყურებს მის სამშობლო სოფელს. დასაფლავებას დაესწრო მრავალი საზოგადოება მაზრის სხვა და სხვა კუთხეებიდან. მათ შორის იყვნენ ზუგდიდის პარტკომის და აღმასკომის წარმომადგენლები, სარაიონო კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლები, მემარცხენე სოციალ-ფედ. ზუგდიდის კომიტეტის მთელი შემადგენლობა, რომელთაც შეამკეს უდროოდ დაკარგული ამხ. კუბო გვირგვინებით სიტყვები წარმოსთქვეს და შესაფერისად დაახასიათეს ამხ. ბიქტორის პიროვნება. კომუნისტებიდან ამხ. ჰ. რაფავამ, მემარცხენე სოც.-ფედ. ამხ. მ. კაკულიამ ადგილობრივი საზოგადოებიდან ი. ქვანიამ და ი, შანავამ. იყო დეპეშები სამძიმრის ტფილისიდან ზუგდიდის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის და მის ამხ. ა. ქავთარაძისა და ბ. ბერიასაგან, ზუგდიდიდან კოოპერატივი „ვარსკვლავისა“-გან და სხვა...

დამსწრე

რურის ოლქის ოკუპაცია

აქტიური წინააღმდეგობისაკენ.

მოსკოვი, 21 იანვარი. ესსენში გაიმართა რურის ოლქის პროფკავშირთა კრება, რომელმაც 22 იანვრისათვის გამოაცხადა რკინის გზელების, ლითონის წარმოების და მაღაროებში მომუშავეთა საერთო გაფიცვა. მემაღაროები უნდა ჩავიდენ მაღაროებში, მაგრამ არ იმუშავებენ.

გერმანიის მთავრობის ცნობა.

მოსკოვი, 24 იან. მთავრობის ცნობა, რომელიც დაეგზავნა გერმანიის შემადგენლობაში მყოფ ყველა სახელმწიფოებს ფორმალურ წინადადებას აძლევს მათ მოითხოვენ მოხელეებისაგან, რათა უკანასკნელნი არ დაემორჩილონ საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებებს მთავრობა პირდება ოკუპაციით დაკავებულ ოლქის მოხელეებს გაორკეცებულ ჯამაგირის მიცემას.

საფრანგეთის ნოტა.

მოსკოვი, 24 გაზ. „დეილი მეილის“ ცნობით საფრანგეთის მთავრობას ქონდა საგანგებო სხდომა გენ. ფოშის და სხვა სამხედრო წარმომადგენელთა თანდასწრებით. გადასწყდა გაუგზავნონ გერმანიის მთავრობას ნოტა, რომელშიაც აღნიშნულ იქნება, რომ ოკუპანტებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ხელმძღვანელობა არის ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა და ეს წინააღმდეგობა გამოიწვევს შემდეგ რეპრესიებს საფრანგეთის მთავრობის მხრივ.

გერმანიის პრესა.

მოსკოვი, 24 იან. გერმანიის პრესა დაწყებული ნაციონალისტურ ორგანოებიდან და გათავებული „ფორვერსით“ არწმუნებს მცხოვრებთ, რომ საჭიროა ფრანგებს წინააღმდეგობა გაეწიოთ მთავარ იმედებს ამყარებენ მუშათა მიერ ოკუპანტებისათვის პასიურ წინააღმდეგობის გაწევაზე.

მაკდონალდის განცხადება.

მოსკოვი, 24 იან. მაკდონალდმა განაცხადა „ჩვენ შევეცდებით გავაერთიანოთ მთელი ქვეყანა რურში საფრანგეთის შემოსვლის წინააღმდეგ და დახმარებას გაუწევენ მთავრობას იმ შემთხვევაში თუ იგი არ დაეთანხმება საფრანგეთის მილიტარისტულ პოლიტიკას.

საფრანგეთის და ინგლისის მრეწველნი.

მოსკოვი. 24 იან. იტყობინებიან, რომ საფრანგეთმა ინგლისის მრეწველებს სთხოვა თანამშრომლობა რურის ოლქში უკანასკნელებმა უარით უპასუხეს.

საფრანგეთის ჯარების რიცხვი.

მოსკოვი. 24 იან. საფრანგეთის ჯარების საერთო რიცხვი, რომელიც რურის ოლქში გაიგზავნა აღწევს 260.000 კაცს. იგზავნებიან ახალი ჯარები.

პროტესტები რუსეთში.

მოსკოვი. 24 იანვარი. ორიოლში რკინის გზელებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია რურის ოკუპაციის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში მუშებს სწორად მიაჩნიათ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება რურის ამბებისადმი და სდებენ აღთქმას ბოლომდე შეასრულონ თავიანთი რევოლიუციონური მოვალეობა.

— როსტოვში დიდი წარმატებით ჩატარდა სტუდენტობის დემონსტრაცია რურის ოკუპაციის გამო. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა პროფესორების ერთი ნაწილი. მიტინგზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატს შემოიკრიბონ კომპარტიის გარშემო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად. პროფესორთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ დარჩენ პოლიტიკურ ცხოვრების გარეშე და უერთდებიან პროტესტს.

მკაცრი ზომები არ შველის

ნაუენი 24 იანვარი. საფრანგეთის პრესის განცხადების წინააღმდეგ ნახშირით დატვირთულს არც ერთ მატარებელს არ გაუვლია რურის საზღვრებში. რურის მუშების და მოსამსახურეთა წინააღმდეგობა იზრდება მიუხედავათ იმისა, რომ ფრანგები მიმართავენ რეპრესიულ ზომებს. საფრანგეთის ჯარების დამხმარე ნაწილები ყოველ დღე მოდის. არსებობს აზრი, რომ ესსენში მომხდარ ინცინდენტებს საბოლოოდ მოყვება სერიოზული კატასტროფა. საფრანგეთის მთავრობამ უარყო გერმანიის პროტესტი რურში ოფიციალურ პირთა დაპატიმრების შესახებ და განაცხადა, რომ განაგრძობს ყოველგვარ კანონიერ საშვალებებს, იმის გამო რომ გერმანიამ დაარღვია ვერსალის ხელშეკრულება.

ბრიტანეთის დამოკიდებულება

ნაუენი 25 იანვარი. საფრანგეთის მთავრობის განცხადების წინააღმდეგ ბრიტანეთის გენერალურმა პროკურორმა ბონარ-ლოუს შეკითხვაზე განაცხადა, რომ თუ სამართლიანად ვიმსჯელებთ ვერსალის ხელშეკრულება ფრანგებმა დაარღვიესო. ლონდონის გაზეთები იტყობინებიან, რომ ბრიტანეთის კაბინეტმა დღეს თუ ხვალ უნდა გამოიტანოს სერიოზული გადაწყვეტილებანი, ვინაიდან ბრიტანეთის პოზიცია რურის ოკუპაციის მიმართ სისწორით უნდა იქნას გარკვეული. კელნიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბრიტანეთის ხელისუფლებმა აკრძალეს გერმანიის მოხელეების დაპატიმრება და გადასახლება,

ინგლისი და რურის ოკუპაცია.

მოსკოვი. 24 იანვარი. ბრიტანეთის მთავრობა განაგრძობს ძველ პოზიციაზე დგომას და არ ერევა რურის კონფლიქტებში.

ფრანგების მუქარა.

მოსკოვი. 14 იანვარი. საფრანგეთის ოფიციალურ წრეებიდან იტყობინებიან, რომ რურის მემაღაროების გაფიცვის შემთხვევაში საოკუპაციო ხელისუფლება დაადგება რეპრესიების გზას და დააწესებს საბაჟო საზღვარს რურის აღმოსავლეთით, რათა დანარჩენ გერმანიას მოუსპოს ნახშირის მიწოდების საშუალება და ხელი შეუშალოს რურის მუშებისათვის სურსათის მიწოდების საქმეში.

ინტერნაციონალების ყრილობა.

მოსკოვი. 24 იანვარი. ამსტერდამის პროფკავშირების გაერთიანება 26 იანვრისათვის ის ხელს უწყობს თანდათანობით სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდას და მასთან ერთად ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თურქესტანის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ სევასტიანაიამ მოხსენებაში აღნიშნა ნახშირის და ტყავის მრეწველობის განვითარების და ნავთის და სამთომადნო საქმის გაუმჯობესების აუცილებლობა. ნახშირის მრეწველობის განვითარებით შესაძლებელი იქნება მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ბაქოს ნავთის გარეშე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხმარდება რკინის გზის მეურნეობას.

კომუნალურ მეურნეობის შესახებ შაუმიანის მოხსენების გამო კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია.

ლოზანას კონფერენცია

ღია კარების პოლიტიკა.

პარიზი. იანვ. 24. ჩაილდმა მიმართა დელეგაციას დეკლარაციით, რომელშიაც გაატარა შეერთებულ შტატების პრინციპი ღია კარების პოლიტიკის შესახებ და მოითხოვს ყველა საკონცესიო სადავო საკითხების იურიდიულად განხილვას, ფიქრობს რა, რომ ნავთის კონცესიები გახდება ერთი რომელიმე სახელმწიფოს მონოპოლიად.

არბიტრაჟის უარყოფა.

პარიზი. იანვ. 24. მიუხედავად ლორდ-კერზონის დაჟინებითი მოთხოვნისა, რომელსაც მხარი დაუჭირა ბარონმა გაიაბმა, ბომპარტმა, გარრონიმ და ისმეტ-ფაშამ უარყვეს ერთა ლიგის არბიტრაჟი მოსულის საკითხში. კერზონმა მოიგონა რა მოკავშირეთა შეთანხმება, განაცხადა, რომ ინგლისი მაინც მიმართავს ერთა ლიგასო.

კომისიაში

ლონდონი, 24 იანვ. კონფერენციის პირველ კომისიაში კერზონის თავმჯდომარეობით დაიწყო მოსულის საზღვრების საკითხის განხილვა. განხილვამდე ისმეტ-ფაშამ თავის სიტყვაში განიმეორა თავისი ძველი არგუმენტები. მან განაცხადა, რომ მთელი მოსულის ვილაეტი ეკუთვნის ოსმალეთს, იმის გამო, რომ მცხოვრებთა უმრავლესობას ოსმალები შეადგენენო. ლორ კერზონმა თავის გრძელ სიტყვაში სთქვა: „ბრიტანეთის მთავრობა დაკმაყოფილებული იქნება იმით, თუ ჩრდილოეთის საზღვრის და ირაკის საკითხი გადაეცემა ერთა ლიგას გადასაწყვეტად და სავსებით დაეთანხმება ამ გადაწყვეტილებას“.

ბომპარტმა და გარრონიმ, მიმართეს რა ოსმალოებს, განაცხადეს, რომ ისინი ბედნიერნი იქნებოდნენ, თუ ოსმალეთის დელეგაცია მიიღებდა ბრიტანეთის წინადადებასო. სხვათა შორის ლორდ კერზონი თავის სიტყვაში აბათილებდა ისმეტ-ფაშას ცნობებს მოსულის მცხოვრებთა შემადგენლობის შესახებ. შემდეგ განმარტა რა ბრიტანეთის პოზიცია, კერზონმა სთქვა, რომ ის პირველ ყოვლისა სცდილობს დაიცვას არაბების ინტერესები, რომელთაც მან აღუთქვა, რომ ისინი აღარ იქნებიან ოსმალეთის მართვა-გამგეობის ქვეშ და მეორეს მხრივ ის დაპირდა არაბეთის მეფეს არაბეთის დამოუკიდებლობის დაცვას, მესამე ერთა ლიგის გადაწყვეტილების გარეშე, მას არ შეუძლია დასტოვოს ეს ტერიტორია, ვინაიდან ერთა ლიგამ მისცა მას მანდატი.

მოსულის საკითხი.

მოსკოვი, 23 იანვარი. ლოზანას კონფერენციაზე ლორდ-კერზონმა კვლავ მოითხოვა, რომ მოსულის საკითხის გადაჭრა გადაეცეს ერთა ლიგას.

საზავო ხელშეკრულება..

მოსკოვი, 23 იანვარი. პარიზში გაიმართა საფრანგეთის, იტალიის და ინგლისის საფინანსო ექსპერტების სხდომა, რემელზედაც საბოლოოდ უნდა შეიმუშავონ საზავო ხელშეკრულების საფინანსო ნაწილი.

ბერძნების სამხედრო მოქმედება.

მოსკოვი, 23 იანვარი. ანგორიდან მიღებულ ცნობებით, ბერძნები ჯარებს თავს უყრიან მარიცის ხაზის მახლობლად. საფრანგეთის ცნობა ადასტურებს ბერძნების სამხედრო მოქმედებისათვის მზადებას.

უცხოეთი

გერმანიის ახალი სარეპარაციო გეგმა.

მოსკოვი, 24 იანვარი. ბერლინიდან ინგლისში გაემგზავრა დელეგაცია გერმანიის ახალ სარეპარაციო გეგმით, რომელიც კუნომ შეადგინა საფრანგეთისათვის გადასაცემად წინადადების შინაარსი საიდუმლოებას შეადგენს.

ამერიკა და სარეპარაციო კომისია.

მოსკოვი, 24 იანვარი. ამერიკაში მყოფმა იტალიის ელჩმა იქონია თათბირი იუზთან სარეპარაციო პრობლემის გადასაწყვეტად განზრახულ ზომების შესახებ.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად სენატის გარეშე საქმეთა კომისიამ მოსთხოვა იუზს განმარტება სარეპარაციო კომისიაში ამერიკის წარმომადგენლის მოღვაწეობის შესახებ, გამოსთქვა რა შიში, რომ ამერიკას ჩაითრევენ ევროპის საქმეში.

რუსეთი

ცხრა იანვარი.

მოსკოვი. 24 იანვარი. მოსკოვის მუშათა ყველა კლუბებში გაიმართა საღამოები 9 იანვრის აღსანიშნავად პარტიულ კლუბში გაიმართა გაპონის პოლიტიკური გასამართლება.

— პეტროგრადში ქალაქის ყველა რაიონების დელეგაციები გაემართენ პრეობრაჟენსკის სასაფლაოსაკენ და გვირგვინებით შეამკეს 9 იანვრის მსხვერპლთა საფლავები რაიკომებში, რაიონულ საბჭოებში, მუშათა კლუბებში და მთელ რიგ სხვა ადგილებში გაიმართა მიტინგები 9 იანვრის ამბების აღსანიშნავად.

სასოფლო სამეურნეო კურსები.

მოსკოვი, 24 იანვარი. მინსკში დემობილიზაციით განთავისუფლებულ წითელ-არმიელებისათვის ეწყობა სასოფლო-სამეურნეო კურსები.

ახალგაზრდათა კომკავშირი და წითელი არმია.

მოსკოვი, 24 იანვარი. კასტრომაში ახალგაზრდობის კომკავშირმა ჩაატარა
ახალგაზრდობის წითელ არმიასთან დ
ფლოტთან დაკავშირების დღე და გა
დასცა წ[illegible]
გარნიზონს. [illegible] შემოწირულებ
ბალტ[illegible]

ახალი ამბები

— **გ. ზინოვიევი ტფილისში.** გუში
იანვრის 24, ტფილისში შეჩერდა რამ
დენიმე ხნით, სოხუმიდან მოსკოვში მი
მავალი, კომინტერნის აღმასკომის თავ
მჯდომარე გ. ზინოვიევი. დღის 1-ლ სა
ათიდან ქალაქის მთავარ ქუჩებზე, გა
მოიშალა ყველა დაწესებულებათა, ორ
განიზაციებისა და სხვათა მუშა-მოსამსა
ხურენი დროშებით და სიმღერებით
უამრავი თავმოყრილი საზოგადოებ
დიდის ინტერესით ათვალიერებდა
მსოფლიო რევოლიუციის ერთ-ერთ თვა
ლსაჩინო ლიდერს.

— **სალამოების აღკრძალვა ტეხნი**
კუმების შენობებში. განათლების სა
ხალხო კომისარიატმა აღკრძალა მისად
მი რწმუნებულ ტეხნიკუმების შენობა
დარბაზებში ყოველგვარი ფასიანი სა
ღამოების გამართვა.

— **საყოველთაო სამხედრო სწავლე**
ბა მოწაფეთათვის. თანახმად საზღვაო
კომისარიატის განმეორებითი მიმართვი
სა, წინადადება ეძლევა ტეხნიკუმების დ
უმაღლეს სასწავლებლების გამგეებ
რათა მათდამი რწმუნებულ სკოლებ
მოწაფეები და სტუდენტები, დაბადებუ
ლნი 1901—1902 წლებში აღრიცხუ
იქნენ და სისტემატიურად ესწრებოდნ
საყოველთაო სამხედრო სწავლებას. უკ
დურეს შემთხვევაში, დამნაშავენი ეძლე
ვიან პასუხისგებაში.

— **ქიმიკოსთა კავშირში.** ქიმიკოსთ
კავშირმა თავის სხდომაზე 22 იანვა
ითათბირა საპნის მრეწველობის მდგო
მარეობის შესახებ საქართველოში. ინ
ჟენერმა ამხ. ქართველიშვილმა წამოა
ყენა რამდენიმე თეზისი საპნის მრეწვე
ლობის გასაუმჯობესებლად. ამისათვი
საჭიროა სხვა და სხვა კულტურის მც
ნარეების გამრავლება, მასალის იაფ
ფასად შეძენა, რკინის გზაზე ტარიფ
დაკლება ქიმიურ საგნების გადმოსაზი
დათ, კანიფოლის წარმოების მეტი პრო
ცენტის მიცემა.

— **დუშეთის მაზრის დამზღვევი კ**
ხა. ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომი
სარიატის რწმუნებულის დავალები
დუშეთის მაზრაში გაემგზავრა ინსტრუ
ქტორი ამხ. მაჩაიძე დამზღვევ კასის კო
მპანიის ჩასატარებლად. შესდგა ახალ
გამგეობა დამზღვევი კასისა. ამხ. მაჩაი
ძემ აღმასკომის ბინაზე გააკეთა მოხს
ნება სოციალური დაზღვევის შესახ
რომელიც საბჭოთა ხელისუფლების და
მყარების შემდეგ საქართველოში რამ
დენად გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურ
თა პირობები. მოხსენების შემდეგ კრ
ბაზე გამოტანილ იქმნა რეზოლიუცი
რომლითაც გულწრფელად მიესალმებ
სოციალურ დამზღვევ კასას, რადგან მ
მიაქცია დუშეთის მაზრას ასეთი ყურ
დღება და გამოუგზავნა ინსტრუქტორ
საჭირბოროტო საკითხის დამზღვევ კ
სის დაარსების მოწესრიგებისათვის.

მსოფლიო ომი დ
ევროპის მცხოვრე
თა მოძრაობა

გრანდიოზულმა თავის შედეგები
მსოფლიო ომმა თავისი გამანადგურ
ბელი გავლენა სხვათა შორის იქონ
მცხოვრებთა მოძრაობაზედაც. როგორ
მსოფლიო ომის მიმდინარეობის დრო
ისე დღესაც აგროვებენ ერთად ამ შ
დეგებს, ახდენენ მათ ანალიზს და ეძი
ბენ გზას კაცობრიობის ხსნისას საბ
ლოო დაცემისაგან და ადამიანთა ჯიშ
ამოწყვეტისაგან დასახსნელად. დღ
საკითხი მცხოვრებთა მოძრაობის შეს
ხებ აუცილებელ დილემის წინაშე გვ
ყენებს: რას ნიშნავენ მსოფლიო ომ
შედეგები მცხოვრებთა მოძრაობაშ
დროებით მოვლენას, რომელიც რამოდ
ნიმე ათეულ წლების შემდეგ კვლავ გა
წორდება თუ ეს შედეგები სიმპტომ
მეომარ ნაციების დასასრულის დაწყ
ბისა. საკითხი ფრიად საგულისხმიერო
დიდმნიშვნელოვანი და ამისათვის ჩვ
შევეცდებით გავაცნოთ საზოგადოე
მსოფლიო ომის გავლენას მცხოვრებ
მოძრაობაზე და ამასთანავე მიღებუ
შედეგების მიხედვით გამოვარკვევთ მ
მავალ პერსპექტივებს კაცობრიობ
გამრავლების ან რაოდენობის შემცირ
ბისას. წერილების დანიშნულება გაზ
თისათვის შეძლებას არ გვაძლევს სა
სებით შევეხოთ იმ მასალებს, რომლებ

გამოქვეყნებულია უპირველესად ყოვლისა კოპენჰაგენის საზოგადოების მიერ, რომელიც ომის დროს და დღესაც აგროვებს სპეციალურად ცნობებს მცხოვრებთა მოძრაობის შესახებ და დროგამოშვებით აქვეყნებს მათ ბიულეტენების სახით, არ შეგვიძლიან აგრეთვე სავსებით ამოვწუროთ ის მასალები, რომლებიც გამოქვეყნებულია რუსეთის მთავრობის მიერ, ხოლო ამავე დროს ჩვენდა სამწუხაროდ შეძლება არა გვაქვს ვისარგებლოთ საქართველოში მოხდენილ უკანასკნელ აღწერის მასალებით, მათი გამოუქვეყნებლობისა გამო, რაიც სხვა ქვეყნების მასალებთან შეფარდებით დაგვანახვებდა ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა მოძრაობის მდგომარეობას. ამიტომ ამ წერილებს უფრო მასალების ხასიათი აქვს, ვინემ საბოლოო დასკვნის და პროგნოზის დასმის.

სანამ გადავიდოდეთ ცხრილების გარჩევაზე საჭიროთ მიმაჩნია წინასწარი განმარტება, თუ რაზეა დამოკიდებული ის სოციალურ-ბიოლოგიური პროცესი, რომელიც აღინიშნება ტერმინით „ხალხთა მოძრაობა“. ძველ დროიდანვე დაწესებულია, რომ მცხოვრებთა საერთო რაოდენობის შემატება ან შემცირება შედეგია ქორწინებათა, დაბადებათა და სიკვდილიანობათა რაოდენობის ურთიერთობის დამოკიდებულებაზე; და აი ამ რაოდენობათა ცვლილებებს, შემატებას, შემცირებას ეძახიან „მცხოვრებთა მოძრაობას“.

ა. მსოფლიო ომის გავლენა მეომარ ქვეყნების მცხოვრებთა რაოდენობაზე.

თუ როგორი საშინელ, სახის იყო მსოფლიო ომი, თუ რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა მან, ამის ნათელი მაჩვენებელია შემდეგი ცხრილები:(*)

სახელმწიფოთა სახელწოდება.	მცხოვრებთა რაოდენობა 1913 წელში	ადამიანთა დანაკლისი 1914 წ. 1919 წლამდე				მცხოვრებთა რაოდენობა 1919 წლის შუა თვეებში.
		დანაკლისი გამოწვეულ. დაბადებათა შემცირ.	დანაკლისი სიკვდილიანობის გაძლიერებით საერთო რაოდენობა	დანკლისი სამხედ. მოქ.	დანაკლისთა საერთო ჯამი.	
გერმანია	67,400,000	3,600,000	2,700,000	2,000,000	6,300,000	65,500,000
ავტრო-უნ.	52.700,000	3,800,000	2,000,000	1.500,000	5,800,000	49.800,000
დიდი ბრ.	46.000,000	850,000	1,000,000	800,000	1,850,000	46,500,000
საფრანგ.	39,700,000	1.500,000	1,840,000	1,400,000	3,340,000	36,560,000
იტალია	35,400,000	1,400,000	880,000	600,000	2,280,000	35,200,000
ბელგია	7,650,000	175.000	200,000	115,000	375,000	7,425,000
ბოლგარია	4,750,000	155,000	120,000	65,000	275,000	4,875,000
რუმინია	7,600,000	150,000	360,000	159,000	510,000	7,720,000
სერბია	4,650,000	320,000	1,330,000	690,000	1,650,000	3,450,000
ევროპ. რ.	135,000,000	8,300,000	4,700,000	2,500,000	13.000,000	132,000,000
ჯ ა მ ი	400,850,000	20,250,000	15,130,000	9,829,000	35,380.000	389,030,000

მომკვდართა საერთო რიცხვიდან ხვდებოდა.

	ბრძოლის ველზე მკვდართ	მშვიდობიან მცხოვრებთ
გერმანიაში	74,1 პროც.	25,9 პროც.
ავსტრო-უნგრ.	75,0 პროც.	25,0 პროც.
დიდ ბრიტან.	80,0 „	20,0 „
საფრანგეთში.	76,1 „	23,9 „
იტალიაში.	68,2 „	31,8 „
ბელგიაში	57,5 „	42,5 „
ბოლგარიაში	54,2 „	45,8 „
რუმინიაში	44,2 „	55,8 „
სერბიაში	51,9 „	48,1 „
ევროპ. რუს.	53,2 „	46,8 „
საერთო ჯამი	65,0 პროც,	35,0 პროც.

როგორც პირველი ცხრილიდან სჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ნაჩვენებია მხოლოდ ათი მებრძოლი ქვეყანა და სრულიად არ არის შიგ მოთავსებული ცნობები ოსმალეთის, საბერძნეთის, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების და სხვ. შესახებ, შედეგები ომისა საშინელების გამომწვევია: მსოფლიო ომს შეუწირავს ოცდა ხუთმეტ მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე. აქედან ცხადია, რომ 1919 წელში, 1913 წელთან შედარებით. მცხოვრებთა რაოდენობა ხსენებულ ათ ქვეყანაში შემცირდა 11.820.000 სულით.

თუ ავიღებთ მსხვერპლთა აბსოლიუტურ ციფრებს დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი მსხვერპლიანობა რუსეთს დატყდომია, ხოლო თუ მცხოვრებთა საერთო რიცხვებთან შედარებით გავშინჯავთ ცხრილს, ყველაზე მეტი ზარალი სერბიას მოსვლია, მას დაუკარგავს თითქმის ერთი მესამედი თავისი მცხოვრებთა, ხოლო თუ მცხოვრებთა საერთო რაოდენობებს შევადარებთ ომის წინ და შემდეგ საფრანგეთი ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 1919 წელში, 1913 წელთან შედარებით სამ მილიონზე მეტ მცხოვრებით შემცირებულა. ესევე ცხრილი გვიჩვენებს, რომ ათი სახელმწიფოდან მხოლოდ სამ სახელმწიფოში შემატებულა მცხოვრებთა საერთო რაოდენობა: დიდ ბრიტანეთში +500.000-ით, ბოლგარიაში + 125.000, ხოლო რუმინიაში + 1200 სულით.

პირველ ცხრილში ადამიანთა დანაკლისი გამოწვეულია სიკვდილიანობის ამატებით. უკანასკნელ ჯგუფში შეტანილია დანაკლისი ბრძოლის ველზე მებრძოლთა და დანაკლისი მშვიდობიან მცხოვრებთა შორის. მეორე ცხრილი გვიჩვენებს თუ როგორია დამოკიდებულება ამ ორ უკანასკნელ ჯგუფთა შორის, როგორც მოყვანილი ცხრილებიდან სჩანს, ბრძოლის ველზე დახოცილნი შეადგენენ მომკვდართა საერთო რიცხვის ერთ მესამედს. უწინდელ ომების დროს ბრძოლის ველზე დახოცილნი შეადგენდნენ უმნიშვნელო % საერთო სიკვდილიანობისას და ეს მოვლენა აიხსნებოდა მით, რომ ომების დროს შექმნილი ცუდი სანიტარული მდგომარეობა ხელს უწყობდა მცხოვრებთა შორის სენების გავრცელებას და ის უმფრო საშინელებას წარმოადგენდა მეომარ ქვეყნისათვის, ვინემ თვით ომი.

უკანასკნელ ომის დროს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობის გაუმჯობესებამ კულტურულ ქვეყნებში შეამცირა სენთა გავრცელება, რის გამო სიკვდილიანობამაც წინა ომებთან შედარებით იკლო. ამავე მოსაზრების დამამტკიცებელია ამ ცხრილშივე აღნიშნული მდგომარეობა რუსეთისა, რუმინიისა და სერბიისა, სადაც სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს არ ქონდა ჯეროვანი ყურადღება მიქცეული, რაც მიზეზი იყო სიკვდილიანობის გათანასწორებისა ზემოხსენებულ ორ უკანასკნელ ჯგუფთა შორის.

განვიხილეთ რა მსოფლიო ომის გავლენა მეომარ ქვეყნების საერთო რაოდენობაზე, შევაჩნიეთ, რომ ათ ქვეყნიდან მხოლოდ სამ ქვეყანაში ოდნავათ შემატებულა მცხოვრებთა რაოდენობა, დანარჩენები კი იძლევიან დეფიციტს, საჭიროა გამორკვეულ იქნას რა მომენტებიდან შესდგება ეს დეფიციტი, რა იყო მიზეზი მცხოვრებთა გამრავლების, შეჩერების და შემცირებისა და უკანასკნელ არის თუ არა ამ დეფიციტის მიზეზი მხოლოდ ბრძოლის ველზე გაყვანილ ჯარის კაცების ამოჟლეტა.

ბ. ომის გავლენა ქორწინებათა რაოდენობაზე*)

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, მცხოვრებთა რაოდენობის შემატებაზე და შემცირებაზე გავლენა აქვს სხვა დემოგრაფიულ მოვლენათა შორის ქორწინებათა რაოდენობას. საფრანგეთში, ავსტრია-უნგრეთში და განსაკუთრებით გერმანიაში ქორწინებათა რაოდენობამ საგრძნობლად აიმატა ომის დაწყებამდის. პარიზში 1914 წელს ივლისის განმავლობაში ყოველ კვირეულად ქორწინდებოდა 600—700 ახალგაზრდა, ხოლო აგვისტოს პირველ კვირის განმავლობაში ქორწინებათა რაოდენობამ აიმატა 1100-ის, მეორე კვირაში—კი 1400.

ბერლინში 1914 წელს ივლისის განმავლობაში ყოველდღიურად ჯვარს იწერდა 39, ხოლო 1 აგვისტოს დაქორწინდა—324, შემდეგ კვირის განმავლობაში—კი ყოველ დღიურად ჯვარს იწერდა—563.

ეგეთივე მოვლენას ქონდა ადგილი დანარჩენ ქვეყნებშიაც. მიზეზი ომის წინ ქორწინებათა რაოდენობის ამატებისა არ არის გასაკვირალი, აიხსნება მით, რომ ჯარში გაწვეულნი წასვლამდის აგვარებენ ოჯახურ და ინტიმიურ საქმეებს, უტოვებენ ოჯახს დამხმარე ხელს და მემკვიდრეს. შემდეგ წლებში ქორწინებათა რაოდენობა იკლებს მაგ: გერმანიაში 1915 წელში 46 პროცენტით, საფრანგეთში—69 პროც. 1913 წელთან შედარებით. უფრო სხვაგვარ სახის მატარებელია ქორწინებათა რაოდენობის მსვლელობა ინგლისში. 1914 წელში ქორწინებათა რაოდენობა ოდნავ აღემატებოდა 1913 წლის რიცხვს. 1915 წელში ინგლისში უცბად აიმატა ქორწინებათა რაოდენობამ. მიზეზი ეგეთი მოვლენისა ახლად გამოქვეყნებული კანონი შეიქნა, რომლის მიხედვით ყოველი დაქორწინებული თავისუფლდებოდა სამხედრო სამსახურიდან. 1916 წელში როდესაც ეს კანონი მოსპობილ იქნა ეგრეთვე უცბად დაეცა ქორწინებათა რაოდენობაც, როგორც აიწია. 1917 წელში მან ნორმაზე ძირს ჩამოიწია, ხოლო 1918 წელში კვლავ აიწია ნორმამდის.

საინტერესოა აგრეთვე ქორწინებათა რაოდენობის მსვლელობა მოსკოვში და პეტროგრადში. 1913 წლამდის ქორწინებათა რაოდენობა ორთავე ქალაქში თანდათან იმატებდა. 1914 წელში ყოველ 10.000 მცხოვრებზე პეტროგრადში დაქორწინებას ქონდა ადგილი 60 შემთხვევაში, მოსკოვში—55. შემდეგ წლებში დაქორწინებათა რაოდენობა იკლებს, მაგრამ მხოლოდ 1917 წლამდის. ამ წელში ქორწინებათა რაოდენობა კვლავ უახლოვდება 1914 წლის ნორმებს, პეტროგრადში—61, მოსკოვში—53. შემდეგ დაქორწინებათა მსვლელობა შემდეგ სახეს იღებს:

მცხოვრებთა ქორწინება ყოველ 10,000 ზე.

წლები	პეტროგრადი	მოსკოვი.
1911—1913	—	59
1914	60	55
1915	50	41
1916	47	39
1917	61	53
1918	92	75
1919	232	174
1920 (1 ნახ.)	267	196

ამნაირად რევოლიუციამ შედეგათ მოიტანა ქორწინებათა რაოდენობის ამატება. ეგეთ მაღალ ციფრებს, რომლებსაც ჩვენ გვაძლევს 1919—20 წლებში, არა თუ მარტო რუსეთში, არამედ მთელს ქვეყნიერებაზე, არას დროს არ ქონია ადგილი ომამდის. კულტურულ ქვეყნებში ქორწინების რაოდენობა ყოველ 10.000 მცხოვრებზე განისაზღვრებოდა 60—100. მაშ რაში იყო საქმე, რამ გამოიწვია ეგრეთი ლტოლვილება პეტროგრადის და მოსკოვის მცხოვრებლების ქორწინებისადმი და ოჯახურ ცხოვრებისადმი, რომელიც გასაკვირალ მოვლენას შეადგენს ყველა ქვეყნებისათვის, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებულ წლებში ცხოვრების პირობები უკიდურეს სიმძისა იყო და სიმშილობა მაგრად ფეხ მოკიდებულ მოვლენას შეადგენდა.

რასაკვირელია არ შეგვიძლიან გვერდი აუაროთ იმ მოვლენას, რომ ქორწინების რაოდენობის ამატებაზე გავლენა იქონია 1917 წელში მოხდენილმა ჯარის დამობილიზაციამ, სამოქალაქო ქორწინების შემოღებამ, მეუღლეთა განშორების პროცესის გაადვილებამ, დედათა და ბავშთა დაცვის კანონების განხორციელებამ, მაგრამ მაინც ყოვლად მიუღებელია ეს ციფრები, მით უმეტეს, რომ დაქორწინებათა რაოდენობა ამატებულ იქნა არა 1917 წელში, არამედ ორი წლის შემდეგ. ამ მოვლენას ნათლად აგვიხსნის 1919—20 წლებში მთავრობის მიერ შემოღებული გამზითვიანება ახლად ჯვარ დაწერილ ქალისა. მთავრობა უფასოდ ასაჩუქრებდა ახლად დაქორწინებულთ მანუფაქტურით, რომლის ღირებულება აღემატებოდა რამოდენიმე ასი ათას მანეთს და ცხადია, რომ გაჭირვებაში მყოფი პირები არ იშურვებდენ ხელის მოწერას და ფიქტიურ ჯვარისწერას ამ საჩუქრის მიღების გულისათვის. ქორწინდებოდენ ბერები და ახალგაზრდანი, რომ მეორე წამსვე ერთიერთმანეთს დაშორებოდენ და გაშორების შემდეგ, კვლავ მოესწროთ მეორე საჩუქრის მიღება. იყო მეორე სახის სპეკულიაციაც: ზოგიერთ ქალებს სურდათ რუსეთიდან მშვიდობიანათ გასვლა საზღვარ-გარეთ და აი ამის გულისათვის ჯვარს იწერდენ სამხედრო ტყვეებზე, მიყვებოდენ მათ საზღვრამდის, სცილდებოდენ საზღვარს და შორდებოდენ ქმარს, მესამენი თავს არ იზოგავდენ წითელი ვარსკვლავის ულუფის მისაღებათ და ფიქტიურად ახდენდენ დაქორწინებას. აი ის მიზეზები, რომლითაც აიხსნება ეგეთი მრავალრიცხოვანობა დაქორწინებულთა აღნიშნულ წლებში და ზემომოყვანილ განმარტების შემდეგ ცხადია, რომ ამ დაქორწინებათა რაოდენობას თითქმის სრულიად არავითარი გავლენა არ მოუხდენია დაბადებათა რაოდენობაზე.

ტ. ჩუბინიძე.

(შემდეგი იქნება)

(*) ცხრილები გადმოღებულია ვ. შვეისგეიმერის სტატიიდან 1914—19 წლ. ომის შესახებ.

*) ცნობები ამოღებულია ა. ჩუპროვის სტატიიდან „Русские Ведомости“ 1916 წ.

№ 19 ახალგაზრდათა ხმა № 19

მემარჯვენე ფედერალის-ტების ლიტერატურული ეთიკის ნიმუშები

ეხლა ჩვენს წინაშეა გადაშლილი „მებრძოლთა ხმის“ № 1.—№ 2. ეს არის მცირე ფორმატის ჟურნალი, არალეგალური ორგანო მემარჯვენე ფედერალისტების ახალგაზრდობისა.

ჩვენ შეგნებულად არ გვსურდა ამ ჟურნალის შესახებ ლაპარაკი. არ გვსურდა უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ შიგ არავითარ პოლიტიკურ აზრს არა აქვს ადგილი, რომლის შესახებ ლაპარაკი შეიძლებოდეს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ნოემბრის თარიღით გამოსულ „მებრძოლთა ხმის“ პირველ ნომერს, რომელიც ჩვენ ხელშია დეკემბრის პირველი რიცხვებიდან პასუხი არ გავეცით, მაგრამ ეხლა მას მოყვა მეორე ნომერი, აღსავსე სიბინძურით. ამ შემთხვევაშიაც კიდევ მეტი საფუძველი მოგვეცა, რომ პასუხის გარეშე დაგვეტოვებია ხსენებული ორგანო, მაგრამ მას აწერია „სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტია“ და მაშასადამე იქ შესაძლებელია ერთხელ კიდევ ვიხილოთ ნიმუშები მემარჯვენე ფედერალისტების ლიტერატურული ეთიკისა.

ამიტომ ჩვენ შევეცდებით მოკლეთ მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ამ ორგანოს შესახებ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლა მემარჯვენე ფედერალისტებთან მეტად საძნელოა. მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ პარტიას არა აქვს თავისი გარკვეული პლატფორმა. ჩვენ არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად ამ პარტიის მიერ, რომელ ინტერნაციონალთან აქვთ ურთიერთობა მათ, არ ვიცით როგორ კონკრეტიულ პლატფორმას აყენებენ იგი, არ ვიცით რა სურთ და რა უნდათ მათ.

არ იფიქროთ, რომ ეს შედეგი იყოს არალეგალური მდგომარეობის.

ამ ხალხს საშუალებაცა აქვთ ბეჭვდითი სიტყვის. ამას წინათ გამოცემულ იქნა ბროშურა „რა მოხდა“, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა წყობილების დამყარებას საქართველოში და სოც.-ფედ. პარტიის მე-6 კონფერენციაზედ მომხდარ განხეთქილებას.

ჩვენ ამ ბროშურას სიხარულით წამოვავლეთ ხელი, რადგან გვეგონა, რომ პოლიტიკური პარტია იმ დიდ გადატევი“ ხალხი თამამად, „გაბედულად“ ლაპარაკობს „ჩოლოყაშვილის გმირობის“ შესახებ. (იხ. № 1. გვ. 2).

ეს მართლაც, რომ საკმაო „გამბეხის შესახებ, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში იტყოდა რასმეს და ჩვენც შეგვეძლებოდა მოწინაალმდეგე გარკვეულ მდგომარეობაში გვენახა, რომელთან ბრძოლა გაადვილდებოდა. სამწუხაროდ ამის მგზასი ვერაფერი დავინახეთ. ჩვენ მხოლოდ ამ ბროშურით უმაგალითო ლიტერატურული „ეთიკა“ ვიხილეთ, რომელიც არ ახსოვს არც ერთი ხალხის და არც ერთი ერის ბეჭვდითი სიტყვას. აქ იყო რაღაც სიგიჟემდე ორგინალური სიბინძურის წუმპე, გახსნილი ერთი პიროვნების, ამხ. თედოს წინააღმდეგ, აგებული საოცარ ინსინუაციების და უმდაბლესი ჭორების ნიადაგზე. ამით სთქვა პირველი სიტყვა ეგ. წოდ. „სოც.-ფედ. სარ. პარტიამ“ საბჭოთა წყობილების დამთავრების შემდეგ და ასეთი ანალიზი გაუკეთა შექმნილ მომენტს „ერის ინტერესებზე“ მოქადაგე ხალხმა.

დღეს რას გვეუბნება „მებრძოლთა ხმა“? ჟურნალის პირველი ნომერი არავითარ გარკვეულ პოლიტიკურ აზრს არ ატარებს. იგი სავსეა სიტყვებით „ჯალათები“, „ავაზაკები“ და სხ. მაგრამ „სადაც არსებობს მტკიცე გამბედაობა“ (იხ. № 1. გვ.) იქ თურმე შეიძლება ყველაფრის თქმა და აკი ეს „გამბედაობა“. აქ ნათლად დაისახა მემარჯვენეთა პოლიტიკური ორიენტაცია.

ალბად მკითხველებს მოეხსენება, რომ მენშევიკებმა, მიუხედავად ჩოლოყაშვილთან ფაქტიური კონტაქტისა, ოფიციალურად „საქართველოს ხმაში“ მიუღებელ მოვლენად აღიარეს იგი და ხალხს მოუწოდეს რომ არ გაყოლოდენ ასეთ მოძრაობას. მაგრამ ფედერალისტებმა „გაბედულად“ განაცხადეს, „ჩოლოყაშვილის გმირობაზე“.

რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ მენშევიკები უფრო ჭკვიანი ხალხია. ისინი ისტორიას ოფიციალურ დოკუმენტს მაინც არ აძლევენ, რომ კონტაქტი აქვთ და მხარს უჭირენ ნიკოლოზის ყოფილ აფიცერს, თავად ჩოლოყაშვილს, ხოლო ფედერალისტები უფრო „გაბედული“ და გულწრფელი ხალხია და ამიტომ ისინი აშკარად აცხადებენ ასეთ ძალებისადმი თანაგრძნობის გამოცხადებას. კიდევ მეტი. ამით ისინი დათვურ სამსახურს უწევენ მენშევიკებსაც და ამჟღავნებენ მათ საიდუმლოებას, არკვევენ მათ ორიენტაციას ოფიციალურად. რადგან, ისინი კონტაქტში არიან მენშევიკებთან და ორიენტაცია მემარჯვენე ფედერალისტისა, ამავე დროს ორიენტაციაა მენშევიკის. ამიტომ ჩვენ ურჩევდით მენშევიკებს, რომ გამოიჩინონ კიდევ მეტი გონიერება და პოლიტიკურ საიდუმლოებას ნუ გაანდობენ მათ მაჩანჩალა მემარჯვენე ფედერალისტებს, თორემ ესენი „გაბედული“ ხალხია და მას საქვეყნოდ გახდიან, რაც არც ისე სახარბიელო უნდა იყოს მენშევიზმის ისტორიისათვის.

არსებითად კი მემარჯვენე ფედერალისტებმა „ჩოლოყაშვილის გმირობის“ აღიარებით სავსებით ნათელი გახადეს მათი პოლიტიკა, თუ პოლიტიკა უნდა ეწოდოს ბანდიტების ქებათა ქებას. ამიერიდან ისტორიას ოფიციალური დოკუმენტი აქვს ხელში, რომ „სარევოლიუციო“ პარტია, პარტია აქტუალი სოციალიზმის პრინციპით, პარტია აქტივისტური ბრძოლის მეთოდების კაპიტალიზმის დამსხვრევის მიმართ, ქებათაქებას ასხამს ცარიზმის ოფიცერს, განდგომილ თავადს, ბანდიტურ „გმირს“, რომლის გამართლებასაც ვერ კისრულობს მისი სულის ჩამდგმელი მენშევიზმიც კი.

სადამდე მიდის „მებრძოლი“ ხალხის „გამბედაობა“?

„მებრძოლთა ხმის“ № 1 სხვას არაფერს ამბობს.

ლიტერატურული ეთიკის ნიმუშებისა და პოლიტიკური სიბრძნის ილიუსტრაციისათვის უფრო საინტერესოა ჟურნალის № 2. მეთაური წერილი ისევე აფორმიული ლანძღვა-გინებაა, მოკლე-

ბულ გარკვეულ პოლიტიკურ შინაარსს. ამავე ნომერში არის წერილი „ვინ არიან“, რომელიც შეგვეხება ჩვენ. წერილის ავტორს ეტყობა, რომ არ აულია ხელში ჩვენი გაზეთის არც ერთი ნომერი. მან არც კი იცის თუ რას ვწერთ ჩვენ. ავტორი ამბობს, რომ „ტრიბუნაში“ „დროგამოშვებით იბეჭდება განცხადებები სტუდენტთა კავშირის და ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის სახელით“.

კატეგორიულად ვაცხადებ, არც ერთ ნომერში ჩვენი გაზეთისა, მგზავსი განცხადებანი არ დაბეჭდილა და არც შეიძლებოდა დაბეჭდილიყო, რადგან ასეთი ორგანიზაციული კონსტრუქცია არა გვაქვს ჩვენ პარტიაში.

არსებობს **სტუდენტთა კომიტეტი** და არა სტუდენტთა კავშირი და არსებობს **ახალგაზრდათა კავშირის კომიტეტი**.

მკითხველისათვის ცხადია, რომ წერილის ავტორს არ გაეგება რაზედაც სწერს. მას სურს „ბრძოლა“ ჩვენს წინაალმდეგ, მაგრამ ის ელემენტარული აზრიც ვერ შეუთვისებია, რომ მოწინაალმდეგესთან ბრძოლისათვის საჭიროა იცნობდე მის აზრს, მის პოლიტიკას, თორემ რაღაც ისეთს წამოროშავ, რაც სისულელეთ ჩაგეთვლება.

ავტორი სწუხს, რომ ჩვენზედ უხდება ლაპარაკი, მაგრამ ეს საჭიროა თურმე იმიტომ, რომ მათმა პროვინციელმა ამხანაგებმა ჩვენ გაგვიცნონ. ამიტომ გვიკეთებენ ასეთ რეკომენდაციას:

ჩვენ ამხანაგებში არიან:

— გამყიდველები.
— ქუჩის როსკიპები.
— სინიდისის გამყიდველები.
— პატარა ყალიბის ჯიბგირი.
— გამოკრეტინებული.
— გაწვერთნილი ლაქია.
— ბებერი ცხვარივით მღეჭავი „პრინციპიალური კითხვების“.
— ოხუნჯები.
— ფსიხოპატი და სხ.

არ იფიქროთ, რომ ასეთ ხალხთან მემარჯვენე ფედერალისტებს არ სურდეს საქმის დაჭერა. სრულიადაც არა. ჟურნალის დასასრულს ეს ხალხი გვირჩევს, რომ „მოვკიდოთ ხელი წმინდა ეროვნულ-რევოლიუციონურ საქმეს“ ესე იგი მათი გაგებით—მივიდეთ მათთან. ამით ხომ საკუთარ თავზე ავრცელებენ ყოველივე ზემოდ აღნიშნულს.

მაგრამ ისინი ამასაც ვერ ხედავენ.

ამას გარდა თურმე ჩვენ ამხანაგებს ჩეკის აგენტობა დაუწყიათ და მათი საუკეთესო ამხანაგები დაუტუსაღებიათ.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთ ხალხთან ლაპარაკი შეუძლებელია, მით უფრო, როდესაც ხსენებული ეპიტეტები არავითარი მოტივაციით არ არის გამაგრებული. ჩვენ ეს აღვნიშნეთ მხოლოდ როგორც ნიმუშები მემარჯვენე ფედერალისტების ლიტერატურული ეთიკისა. მაგრამ ორიოდე სიტყვა ავტორის სიყალბის ან უვიცობის აღსანიშნავად. ავტორი მართლაც რომ კითხულობდეს „ტრიბუნას“ მას ეცოდინებოდა, რომ ერთ-ერთი ამხანაგი, რომელიც ჩვენ მოგვაწერა, გადაყენებულია ორგანიზაციიდან, რაც ოფიციალურად იყო გაზეთში გამოცხადებული. ამას გარდა, მას ისიც ეცოდინებოდა, რომ როდესაც ჩვენი ფრაქცია გამოვიდა სტუდენტთა გამგეობიდან, ჩვენს ორგანოში მოთავსებული იყო ვრცელი ანგარიში სტუდენტთა კავშირისა და საბჭოს ირგვლივ შექმნილი ამბებისა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჩვენი ახალგაზრდობის კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობდა კომპარტიის ცეკას წინაშე დატუსაღებულ სტუდენტთა განთავისუფლების შესახებ, რაც დადებით იქნა დასრულებული და განთავისუფლებულ იქნა დატუსაღებულთა ნაწილი. ამას ქვია ჯაშუშობა და აგენტობა მემარჯვენე ფედერალისტების ენაზედ.

მაგრამ აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ავტორი სრულიად უპასუხისმგებლო პიროვნებაა, ხოლო ორგანო, ასეთი წერილის დამბეჭდავი — უპასუხისმგებლო ორგანოა.

კიდევ ერთი ნიმუში სიყალბისა.

ჟურნალის მეორე ნომერი სწერს „მათ (ლაპარაკია ჩვენზე) ქართველმა ახალგაზრდობამ პირში ბურთი ჩასთხარა, როდესაც გაბედეს და მიშა მეუნარგიას სამოქალაქო პანაშვიდის გამართვა რომ მოითხოვეს. ეს იქნებოდა მიშას სახელის შეურაცხყოფას“ (იხ. № 2 გვ. 10, მართლწერა ჟურნალისაა დაცული).

ეს უდიდესი სიყალბეა. საქმის ვითარება შემდეგში მდგომარეობს. სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის გამგეობის არჩევის დროს. ფაკულტეტის საერთო კრებაზე ჩვენი ამხანაგის მიერ შეტანილ იქნა წინადადება, რომელიც მოითხოვდა პატივი ეცათ ამავეფაკულტეტის გარდაცვალებულ პროფ. ს. ავალიანისა და სტუდ. მ. მეუნარგიას ხსოვნისათვის.

როგორ ჰგონიათ ეს წინადადება უარყოფილ იქმნა? სრულიადაც არა. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ეს ყველასათვის მისაღებია ამიტომ კენჭისყრაც კი არ არის საჭირო, რაც მიღებულ იქნა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე კრების მიერ. ამას დაადასტურებს პრეზიდიუმი, ამას დაამოწმებს ყველა დამსწრენი. ეს ნიშნავს „პირში ბურთის ჩაჩრას“?

წერილი ეხება „ახალგაზრდათა ხმა“-ში მოთავსებულ წერილს, რომელიც აღნიშნავდა „ინტერპარტიული კომიტეტის“ პროკლამაციის ულოღიკობას და გადახრის ფაქტს. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს წინააღმდეგი, მაგრამ თავის ხელით იმათრახებს თავს და აღნიშნავს ის „სპეციალურად“ უნივერსიტეტის საკითხია, ტაქტიკის საკითხია „ერთი ხელისმოსმით განადგურების მიზეზათ ვერ გავხდებითო“. ამ რიგად ავტორი ამტკიცებს უკან დავიხიეთ, მაგრამ არ დაგვიხევიაო. ლოღიკაც ასეთი უნდა. ამას გარდა აღსანიშნავია პოლიტიკური ლოღიკა, თურმე მემარჯვენე ფედერალისტების პოლიტიკა „სპეციალურ“ დარგებად არის დაყოფილი. ასე რომ მათი პოლიტიკა სხვაა უნივერსიტეტის ეზოში, ხოლო იცვლება წყნეთის ქუჩაზე, ალბად კიდევ ფერს იცვლის რუსთველის პროსპექტზე და სხ. მართლაც, რომ ასეთი პოლიტიკის მატარებელი ხალხი დიდი „სპეცი“ უნდა იყოს პოლიტიკაში.

ამას გარდა ორგანო „მწუხარებით“ კისრულობს ჩვენს შესახებ წერას, მაგრამ თურმე „პროვინციელმა ამხანაგებმა არ იციან“ თუ ვინ ვართ ჩვენ და ამისათვის საჭირო ხდება ჩვენზე ლაპარაკი.

მართლაც, რომ საკვირველი „პარტია“ ყოფილა მემარჯვენე ფედერალისტების პარტია. ნუ თუ ორი წლის განმავლობაში ვერ აცნობებთ ამხანაგებს ვინ არის თქვენი მოწინააღმდეგე და მომხრე, მტერი და მოყვარე? ნუ თუ ეს არის თქვენი „თავდადება დიადი საქმისათვის“, რომელიც „ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს“?

საბრალო ხალხია მართლაც ის ხალხი, რომელიც სოციალისტის და რევოლიუციონერის სახელს ებღაუჭება, მეფის ოფიცრებს ქება-დიდებას ასხამს, თავი პარტიად მიაჩნია და ორი წლის თავზე აცნობებს ამხანაგებს თავის მოწინააღმდეგის შესახებ, რომ ეს „ჯიბგირია“ ეს „ლაქია“, ეს „გამოკრეტინებული“, არისო. აი სადამდე შეიძლება დაეცეს პოლიტიკური ჯგუფი.

კიდევ ერთი ნიმუში მათი ლიტერატურული ეთიკის, დაგვირგვინება ყოველივეს—„ლაპარაკისა და სალერღელ აშლილ „ტრიბუნას“ მჯლაბნელს უნდა ახსოვდეს, რომ პუბლიცისტობისათვის და პოლიტიკოსობისათვის **ცხვირის სიგრძე არ კმარა**“ (ხაზი ჩვენსია). აღსანიშნავია, რომ წერილი, რომლის ავტორს ასე ამკობენ—ხელმოუწერელია. ხელმოწერილი წერილის ავტორის ძიებაც ლიტ. ეთიკის გარეშე სდგას, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ცხვირის სიგრძეზე“ ლაპარაკობენ რა უნდა მოეთხოვოს ამ ხალხს.

მოგისმენია ან გინახავს ასეთი რამ, მიუდგომელო მკითხველო, გარდა ქუჩაში შემთხვევით გაგონილ სიბინძურისა? ნუ თუ არჩილის უკანონო მემკვიდრენი ისე დაეცნენ, რომ მოწინააღმდეგეს ებრძვიან მხოლოდ იმითი, რომ შენ გრძელი ცხვირი გაქვს, შენ ბრუციანი ხარ, შენ ქაჩალი ხარო და სხვა?

საით მიდიხართ ისტორიისაგან უარყოფილნო? რას სწერთ პოლიტიკურად დაცემულნო?

თუ მართლაც გაქვთ სიყვარული ქართველი ხალხისა; თუ მართლაც ოდნავი პატივისცემა გაქვთ ქართული კულტურის. თუ თქვენ თავმოყვარეობა მაინც შეგრჩენიათ, ერთი დამსახურება გაუწიეთ ქართველ ხალხს—ნუ გაათახსირებთ ბეჭდითი სიტყვას, ნუ გარყვნით პრესის აზრს, ნუ შეურაცხყოფთ გამომცემლობის სახელს. იგინეთ რამდენიც გენებოთ, გვლანძღეთ როგორც გინდოდეთ, შეთხზეთ რაც გსურდათ, ავრცელეთ რაც მოგეპრიანოთ, მაგრამ ბეჭდითი სიტყვას ნუ გადააქცევთ სიბინძურის მორევად.

მას ნუ გაიხდით ქუჩური გინების ორგანოთ.

მერწმუნეთ ამით დიდ სამსახურს გაუწევთ ქართველ ხალხს, ის თქვენთვისაც უკეთესია. სიტყვიერ ჭორებისა და მდაბალი გინებისათვის ისტორია პასუხს ვერ მოგთხოვთ, ხოლო წერილობითი სიტყვა სიფრთხილეს, ჭკუას, გონიერებას, ეთიკას და ცოდნას საჭიროებს, რისთვისაც ისტორია მეტად მკაცრია.

გსურთ ბრძოლა ჩვენთან? მაგრამ აბა რით გებრძოლოთ, ხომ ვერ გიწოდებთ „ჯიბგირს“ ან „ცხვირ გრძელას“? კრივს ხომ ვერ გაგიმართავთ ქუჩაში?

პოლიტიკური ბრძოლისათვისაც პოლიტიკური აზრია საჭირო, რაც თქვენში არ მოიპოვება.

ს. კვინწყლისპირელი

ქუთაისის მეორე ტეხნიკუმის სამეცნიერო წრეების შესახებ.

ხსენებულ ტეხნიკუმში, სხვა და სხვა სამეცნიერო წრეების არსებობა, დღიდან მის დაარსებისა, ტრადიციათ არის გამხდარი; იყო დრო, როდესაც ჩვენს ტეხნიკუმში არსებობდა „მთარგმნელთა“ და „საგამომცემლო“ წრეები, რომლის გამოცემული წიგნები დღესაც ბლომად მოიპოვება ქუთაისის წიგნის მაღაზიებში გასასყიდლად. თანამედროვე დროშიც მრავალი სამეცნიერო წრეები მოიპოება ჩვენს ტეხნიკუმში, მაგრამ სრულ სხვანაირი სახის, ვიდრე ყოფილან....

წელს, ჩვენს ტეხნიკუმს შემოუერთეს ქალთა პირველი ტეხნიკუმი, რომლებიც მოთავსებული არიან ტეხნიკუმის წინა ნაწილში, ხოლო ვაჟები კი უკანაში; წრეებში ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაა შემოღებული და ქალებიც ისეთვე მუშაობას ეწევიან, როგორსაც ვაჟები— მოკლედ რომ ვთქვათ, მხოლოდ კლასიკურ გაკვეთილებზე არ არიან ქალ-ვაჟნი ერთად, ხოლო დანარჩენ სამეცნიერო საქმებში კი ერთად მუშაობას ეწევან— (სასურველია თუ არა ქალ-ვაჟთა ერთად მაცადინეობა, ამას ცალკე შევეხებით).

თითეული წრეს, ყავს საკუთარი გამგეობა, სარევიზიო კომისია, აქვს საკუთარი წესდებაც და თანახმად განათლების კომისარიატის განკარგულებისა, ყავს პედაგოგიური საბჭოსაგან დანიშნული ხელმძღვანელი...

როგორც ვსთქვით, წელს წრეთა რიცხვი ძალიან გაიზარდა, რა თქმა უნდა ძალიან სასიამოვნოა, რომ მათში ე. ი. წრეებში რამე ნაყოფიერი რამ კეთდებოდეს...

წრის დაარსება, ეს მაინც და მაინც არ არის ძნელი საქმე, ხოლო მისი რიგიანათ გაძღოლა, მოითხოვს უპირველეს ყოვლისა გამგეობისა და ხელმძღვანელისგან მეტი ენერგიის და შრომის გამოჩენას; თუ როგორი ენერგიით და მუყაითობით ეკიდებიან ქუთაისის მეორე ტეხნიკუმის სამეცნიერო წრეების გამგეობები თავიანთ წრეებს, ამას ქვემოთ დავინახავთ, რისთვისაც შევეხოთ მოკლედ თითეულ წრეს და განვიხილოთ მათი ფორმალური და საგნობრივი მოქმედება დღიდან დაარსებისა.

1. დრამატიული წრე.

ეს წრე უხუცესი წრე არის ჩვენს ტეხნიკუმში, რომლის მოქმედება ეს ოთხი წელიწადია, წელიწადში მხოლოდ ერთი ან ორი საღამოს გამართვით გამოიხატება; ლექცია ამ წრეში არავის არ მოუსმენია, ამის მოწყობა ვერ შესძლო ვერც ერთი წლის გამგეობამ; მიუხედავათ იმისა, რომ წელს ამ წრეს სათავეში ამ დარგში მომზადებული პიროვნებანი მოექცნენ, მაინც მათი მოქმედება ჯერ-ჯერობით ძველ ტრადიციის გზას ვერ აშორდა...

1922 წელს, დეკემბრის 9, ხსენებულმა წრემ გამართა ტეხნიკუმში მიპატიჟებითი საღამო, თუ როგორ ჩატარდა საღამოს ბედი, ამის შესახებ მე აქ არაფერს არ ვიტყვი. დასასრულ ვუსურვებ წრის გამგეობას მეტი ენერგიის გამოჩენას...

2. „ვეფხის ტყაოსნის“ წრე.

წრე, წმინდა მეცნიერული სახის, რომლის მიზანია აკადემიურად შესწავლა „ვეფხის ტყაოსნისა“ და მისი ავტორისა—საერთოთ შოთა რუსთველის შემოქმედებისა. ჩვენი ტეხნიკუმის მოსწავლენი დიდი აღტაცებით შეხვდენ ამ წრის დაარსებას, გვეგონა, რომ წრე მიზანს მიაღწევდა, მაგრამ დავრჩით საუბედუროთ მოტყუილებული; დღეს პროგრესის მაგიერ, წრე რეგრესის გზაზედ არის დამდგარი...

გასულ 1921—22 სამოსწავლო წელს, (დაარსდა 1921 წ. დეკემბრის 16-ს) მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკუთარ შენობას მოკლებული ვიყავით და უცხო ტეხნიკუმშიაც ჩვენი მოქმედება შებორკილი იყო, ამ წრემ, ყოფილი (მაშინდელი) გამგეობის წყალობით მიზანს მთლად თუ არა, ნახევრად მაინც მიაღწია; იკითხებოდა დრო გამოშვებით ლექციები, როგორც მოწაფეებიდან, ისე პედაგოგებიდანაც... 1922 წელს, მარტის 16-ს, წრემ გამართა ორიგინალური საღამო ქუთაისის სახელმწიფო თეატრში, რამაც დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და „ტრიბუნას“ 178 №-ში რეცენზიაც იყო მოთავსებული, რომელიც ქება-დიდებით იხსენიებდა იმ ღამინდელ საღამოს.

დადგა წრევანდელი სამოსწავლო წელი და ახალ გამგეობისაგან უფრო მეტს მოველოდით, რადგანაც საკუთარ ტეხნიკუმში მოვთავსდით, მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა...

წრევანდელ სამოსწავლო წელში, მხოლოდ ამხ. მიხეილ ჩინჩალაძემ წაიკითხა ორჯერ „ლექცია“, მეტი ლექცია ამ წრეში არ ყოფილა, საერთო კრებები კი ძალიან ხშირად იმართება უტოპიზმის დასამტკიცებლად.

24 დეკემბერს, წრის გამგეობამ წრის არსებობის წლის თავის აღსანიშნავათ (16 დეკემბერს ობიექტიური მიზეზების გამო ვერ გაიმართა) გამართა დილა, მხოლოდ ამა ტეხნიკუმის მოწაფეებისათვის. ეს დილა ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, იმ მხრივ, რომ პროგრამის უმეტესი და ღირს-შესანიშნავი ნაწილი, გამეორება იყო იმისა, რაც გასულ წელს იყო ნათქვამი ქალაქის თეატრში.

უნდა დაუმატოთ ისიც, რომ წრეს არ ქვია რიგიანი სახელი, „ვეფხის ტყაოსნის“—წრე არ არის სწორი სახელი ამ წრისა, არამედ მას უნდა ერქვას „შოთა რუსთველის“—წრე, ჩვენი მიზანია შესწავლა შოთა რუსთველის შემოქმედებისა, მაშ სახელწოდება „ვეფხის ტყაოსნის“—წრე, აქ მიუღებელია, რადგანაც შოთა რუსთველის შემოქმედება მარტო „ვეფხის ტყაოსნით“ არ განისაზღვრება, ესეც რომ არ იყვეს, შოთა რუსთველმა შექმნა „ვეფხის ტყაოსანი“ და არა „ვეფხის ტყაოსანმა“ შოთა რუსთაველი.

გადავავლოთ თვალი ევროპაში მსოფლიო გენიოსებს, იქ ჩვენსავით დავიწყებული კი არა ყავთ მსოფლიო გენიოსები, მათ პატივსაცემლად და სახსოვრად სხვა და სხვა წრეები არსებობენ და სწავლობენ გენიოსის შემოქმედებას. არსებობს დანტე ალიგიერის წრე (საზოგადოება) და არა „ღვთაებრივი კომედიის“, არსებობს გიოტეს წრე და არა „ფაუსტისა“ და მე მგონია, ჩვენ დროში, საძრახისი არ იქნება თუ ჩვენზე უფრო განათლებულ ერებიდან რამე კარგს გადმოვიღებთ, როგორც საგნობრივად ისე ფორმალურადაც.

3. პედაგოგიური წრე.

ეს წრე 1921 წელს დაარსდა „ლიტერატურულ-პედაგოგიური“—წრის სახელწოდებით, სადაც პედაგოგიკასთან ერთად ისწავლებოდა ლიტერატურაც (ქართული და უცხოეთის). 1922 წელს, ოქტომბერში მოხდა წრის რეორგანიზაცია და დამკვიდრდა წმინდა „პედაგოგიური“ სახით წრე, რომლის მიზანია შესწავლა პედაგოგიკისა და პედაგოგიური თვალსაზრისით ჰუმანიტარული საგნებისა. როგორც ყველა წრეებს, ისე ამ წრესაც ყავს პედაგოგიური საბჭოსაგან დანიშნული ხელმძღვანელი, დამსახურებული და გამოცდილი პედაგოგი ბ-ნ **მელქისედეკ პავლეს ძე ხელიძე**, რომლის დაუღალავი შრომა წრისათვის, პირდაპირ დაუფასებელია. მე, ამ წერილის ავტორს არ მეკუთვნის ამ წრის შესახებ ბევრი ლაპარაკი, მაგრამ დავსძენ და ვიტყვი (სადაც თითეული ჩვენი ტეხნიკუმის მოწაფე დამეთანხმება) რომ ამ წრეში შარშანაც და წელსაც მეტი გაკეთდა, ვიდრე სხვა წრეებში, (წელს ლექციების კითხვა დაიწყო ნოემბრიდან და საშობაო არდადეგამდის წაკითხული იყო 9 ლექცია, საერთო კრება იყო მოწვეული 2 ჯერ, 1 გამგეობის არჩევნებისათვის და მეორედ წესდების დასამტკიცებლად) და ისეთი ნიადაგი აქვს მომზადებული, რომ შემდეგშიაც მეტი გაკეთდება.

4. ლიტერატურული წრე

დღემდის, ხსენებულ ტეხნიკუმში, ლიტერატურული წრე, თითეულ კლასს თავისთვის ქონდა დაარსებული. ხოლო წელს „ლიტერატურულ პედაგოგიური“ წრის რეორგანიზაციის შემდეგ, ტეხნიკუმში, ყველა კლასისთვის, ერთი მთლიანი წმინდა „ლიტერატურული“ ს
წრე დაარსდა, რომლის დაარსებას
დი თანაგრძნობით [illegible]
თითეული [illegible]
ხსენებული [illegible]
შორის პირველობას დაიკავებდა, რ
განაც მათ სამოქმედოთ ფართო ას
რეზი ქონდათ, მაგრამ მოხთა სულ წ
ანაღმდეგი.

პირველად ამ წრეს სათავეში მოექ
ამ დარგში საკმაო საფუძვლიანად მო
ზადებული ამხ. ბიკტორ შუბლაძე
თავის თვე-ნახევრის გამგეობის თა
მჯდომარეობის დროს, წაკითხული იყ
ორი ლექცია, ხოლო მის გადადგომ
შემდეგ, „ლიტერატურული“ წრე მი
სალათის ძილს და ვშიშობთ, რომ ს
ლათას კი არა და ვაი თუ საუკუნო ძ
ლათ იქნეს გადაქცეული. (საერთო კრ
ბები იყო მხოლოდ ორჯერ).

5. „ისტორიული“ წრე.

„ისტორიული“ წრის მეცნიერულ
მუშაობის შესახებ, ჯერ-ჯერობით არ
ფერი არ ითქმის... ის ყველაზე გვი
დაარსდა—საფუძველი ჩაეყარა 25 დ
კემბერს და დათხოვამდის იყო მხოლო
ერთი ლექცია წაკითხული ხელმძღვან
ლის მიერ...

როგორც „ვეფხის ტყაოსნის“—წრ
ისე ამ წრესაც არ აქვს წრის მიზნ
გამომხატველი სახელი; ამ წრის მიზანი
შესწავლა საქართველოს ისტორიისა
პარალელურად, ე. ი. იმდენათ, რამდე
ნადაც საქართველოს ისტორია მო
თხოვს მსოფლიო ისტორიისა, როდესა
წრეს ვარქმევთ „ისტორიულს“, მას
იგულისხმება ორივე ისტორია, მსო
ლიო და საქართველოს და თუ ჩვენ პ
რველს უკუვაგდებთ, იმ შემთხვევა
წრეს უნდა მიცეს სახელწოდება „საქარ
თველოს ისტორიის“—წრე...

ამას გარდა, წრეს არ აქვს რიგიან
წესდება; წრის წესდება უნდა იყვეს დ
ყოფილი განყოფილებებად (I განყ. წრ
მიზანი, მეორე—ორგანო, მესამე—ორ
განიზაციული საკითხი, მეოთხე—დისც
პლინა და სხვანი) ხოლო განყოფილებ
ბი კი მუხლებად; თითეული მუხლი უ
და იყვეს შედგენილი ლაკონიურად დ
გაუზვიადებლად—მხატვრულ ენას მო
ლებული...

ხსენებული წრის წესდება, ყოველი
ამას მოკლებული არის, აბდა-ბუდას
ვით არის შედგენილი და თითეულ
მუხლი მინიატიურას წარმოადგენს...

როდესაც წრე წესდებას ამტკიცებ
თითეულ წრის წევრს უფლება ეძლევ
წესდების თითეული მუხლის გარშემ
თავისუფლად ლაპარაკისა, შეიტანო
შესწორება წესდებაში და საერთო წრ
ხმის უმრავლესობით იქნეს მისი აზრ
მიღებული; ჩვენ „ისტორიული“—წრი
წესდების დამტკიცებაზე ყოველივე ამ
მოკლებული ვიყავით, სხვა და სხვა მი
ზეზების გამო.

სასურველი იქნება, რომ წრის გამგ
ობა მათ მიერ ვითომ და დამტკიცებუ
წესდებას ხელ-ახლა განიხილავდეს სა
რთო კრების თანადასწრებით და ა
ექნებოდეს ადგილი იმას, რასაც ქონდ
25 დეკემბერს...

— არსებობს კიდევ ამ ტეხნიკუმ
ორი სამეცნიერო წრე, სადაც ქალებ
მონაწილეობას არ იღებენ, ფილოსო
ფიური და ილია ჭავჭავაძის; პირველ
არის კერძოობითი (3 კლასებისათვი
ხოლო მეორე—ზოგადი, რომელსაც ყა
ფორმალურად გამგეობა და შედგენილ
აქვს წესდებაც; ლექცია ან საერთო
კრება (I კრება—გამგეობის არჩევა იყ
ხოლო მეორეზე წესდების დამტკიცებ
ამ წრეში არ ყოფილა მიუხედავად იმ
სა, რომ ეს წრე (ილია ჭავჭავაძის)
თვეზე მეტია, რაც რომ არსებობს...

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებია
ქუთაისის მეორე ტეხნიკუმის სამეცნი
რო წრეები, რომლებიც გარდა ერთის
არც ერთი ნორმალურ კალაპოტში ა
არის ჯერ-ჯერობით ჩამდგარი.

ვინ არის აქ დამნაშავე? რა თქმა უნ
და უპირველეს ყოვლისა წრეების გამ
გეობანი; როდესაც რომელიმე პიროვ
ნებას ირჩევენ ამა თუ იმ წრის გამგეო
ბაში, ან პედაგოგიური საბჭო ნიშნავ
ამა თუ იმ წრის ხელმძღვანელს, პირვე
ლმაც და მეორემაც თავის-თავს უნდ
მიცეს შეკითხვა: „შეუძლია თუ ა
მათ წრის გაძღოლა?.. და თუ მათ ა
შესწევთ ამისთვის სათანადო უნარი
გამოჩენა, უნდა განაცხადოს თავი
დროზე უარი.

სოლ. ყუბანეიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგ
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 700

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.